# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 29

20 17 წ. "16" 08

ქ.თბილისი

**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ:406056173) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 16 აგვისტოსს №7 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო

საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე